მოკლე მიმოხილვა

2025

ევროპის
საინვესტიციო ბანკი | ჯგუფი

მოკლე მიმოხილვა

2025

ევროპის
საინვესტიციო ბანკი | ჯბუფი

2025 ევროპის საინვესტიციო ბანკის მოკლე მიმოხილვა

© ევროპის საინვესტიციო ბანკი, 2025.
98-100, კონრად ადენაუერის ბულვარი
L-2950 ლუქსემბურგი

ყველა უფლება დაცულია
უფლებებთან და ლიცენზიებთან დაკავშირებული შეკითხვები მოგვწერეთ publications@eib.org.

ჩვენი საქმიანობის შესახებ დამატებითი ინფორმაციისათვის ეწვიეთ ჩვენს ვებგვერდს: www.eib.org. ასევე, შეგიძლიათ დაგვიკავშირდეთ info@eib.org. გადმოიწერეთ ჩვენი ელექტრონული საინფორმაციო ბიულეტენი: www.eib.org/sign-up.

© ფოტო ეკუთვნის: EIB, Energy Dome, Matr Foods, Rim Foam, Shutterstock, GettyImages

პასუხისმგებლობაზე უარის განცხადება
აღნიშნულ თარგმანსა და დედან ვერსიას შორის შეუსაბამობის შემთხვევაში, უპირატესობა მიენიჭება დედანს.

გამოქვეყნებულია ევროპის საინვესტიციო ბანკის მიერ.
დაბეჭდილია FSC® ქაღალდზე.

pdf: QH-01-25-001-KA-N ISBN 978-92-861-5927-5 doi: 10.2867/3110296

ევროპის საინვესტიციო ბანკის შესახებ

როგორც მსოფლიოს ერთ-ერთი წამყვანი მრავალმხრივი ინსტიტუტი, ევროპის საინვესტიციო ბანკი ხელს უწყობს პროგრესს იმ სფეროებში, სადაც ეს ყველაზე მნიშვნელოვანია. დაფუძნებული 1958 წელს და ევროკავშირის 27 წევრი სახელმწიფოს საკუთრებაში მყოფი, ჩვენ მივმართავთ ფინანსურ რესურსებსა და გამოცდილებას მნიშვნელოვანი ცვლილებებისკენ, როგორებიცაა საჯარო სერვისების გაუმჯობესება, ბიზნესის მხარდაჭერა, სამუშაო ადგილების შექმნა და მდგრადი ეკონომიკების მშენებლობა.

მდგრადი ზეგავლენა

ჩვენ წარმოვადგენთ ევროპის კლიმატის ბანკს. ჩვენ გვჯერა უფრო მწვანე და მდგრადი მომავლისა. დაფინანსებიდან დაწყებული, რომელიც მიმართულია კლიმატის ცვლილებებთან საბრძოლველად ინოვაციური გადაწყვეტილებებისკენ, ყველა ზომის ბიზნესის მხარდაჭერით დამთავრებული მათი მწვანე გარდაქმნის პროცესში, ჩვენი მხარდაჭერა გარდამტეხია. ევროპის საინვესტიციო ფონდის მეშვეობით, რომელიც ევროპის საინვესტიციო ბანკის ჯგუფის ნაწილია, ჩვენ უზრუნველვყოფთ ვენჩერულ კაპიტალს და ხელს ვუწყობთ მცირე და საშუალო საწარმოებს ინოვაციების დანერგვაში, გაფართოებასა და წარმატების მიღწევაში.

გლობალური მოთამაშე

ექვს ათწლეულზე მეტია, რაც 1 ტრილიონ ევროზე მეტი ინვესტიცია განვახორციელეთ. ამ გამოცდილებით, ჩვენ ვართ სანდო ძალა საერთაშორისო კაპიტალის ბაზრებზე, სადაც ობლიგაციების გაყიდვის მეშვეობით მოვიზიდავთ სახსრებს და კონკურენტულ ფინანსურ პირობებს ვთავაზობთ ჩვენს კლიენტებს მთელ მსოფლიოში.

ჩვენი ზეგავლენა 2024 წელს

350 მილიარდი ევრო

ესბ ჯგუფის მხარდაჭერით განხორციელებული ინვესტიცია

17,2 მილიარდი ევრო

მდგრადი ქალაქები და რეგიონები

50,7 მილიარდი ევრო

მწვანე პროექტების დაფინანსება

63,4 მილიარდი ევრო

ობლიგაციების ბაზრებიდან

16,2 მილიარდი ევრო

მცირე და საშუალო ზომის ბიზნესები

8,7 მილიარდი ევრო

სოციალური ინფრასტრუქტურა

19,8 მილიარდი ევრო

ინოვაცია, ციფრული ტექნოლოგია და ცოდნა

368 000-ზე მეტი,

სტუდენტი, რომელმაც ისარგებლა დაფინანსებით.

13,7 მილიონი

ადამიანი სვამს უფრო უსაფრთხო წყალს.

ესბ ჯგუფის მიერ 88,8 მილიარდი ევროს დაფინანსება, მათ შორის 8,4 მილიარდი ევრო ევროკავშირის ფარგლებს გარეთ.

14,7 მილიონი

ელექტროენერგიის მქონე ოჯახი

5,9 მილიონი

ადამიანი უკეთესი სანიტარული პირობებით

854 000

5G უზრუნველყოფა

305 მილიონი

მგზავრთა დამატებითი მგზავრობა საჯარო ტრანსპორტით

2 მილიონი

წყალდიდობისგან დაცული ადამიანი

20 964 მვტ.სთ

განახლებადი ელექტროენერგიის გამომუშავების სიმძლავრე

107 370 კმ

დამონტაჟებული ან განახლებული ელექტროგადამცემი ხაზები

67,5 მილიონი

გაუმჯობესებული მუნიციპალური და რეგიონალური ინფრასტრუქტურის მქონე ადამიანი

14,9 მილიონი

უკეთესი სამედიცინო მომსახურების მიმღები ადამიანი

ჩვენი პრიორიტეტები

ყოველწლიურად, ჩვენ ვაფინანსებთ ასობით ახალ პროექტს, კლიმატთან დაკავშირებული ქმედებებიდან, ციფრულ გარდაქმნამდე, უსაფრთხოებიდან და თავდაცვიდან, მდგრად საცხოვრებლამდე და სოფლის მეურნეობამდე და სუფთა წყლამდე. ჩვენი მხარდაჭერა ეხმარება ევროპის ნაკლებად განვითარებულ რეგიონებს, აჩქარებს მწვანე პროექტების დაფინანსებას და ხელს უწყობს ინვესტიციებს კაპიტალის ბაზრებზე. ამ ყველაფრის მიზანია – უფრო უსაფრთხო, წარმატებული და მდგრადი მომავლის შექმნა მსოფლიოსთვის.

Warehouses de Pauw-ის მზის პანელები ყოველწლიურად გამოიმუშავებს 350 გიგავატსაათამდე ელექტროენერგიას, რაც საკმარისია 150 000 ადამიანის მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად.

კლიმატის ბანკი

ევროპის საინვესტიციო ბანკი სუფთა ენერგიაზე გადასვლის პროცესში საკვანძო როლს ასრულებს. ჩვენ ვახორციელებთ ინვესტიციებს, რომელთა მიზანია სათბური აირების გაფრქვევის შემცირება, პრევენცია ან შთანთქმა, რაც თავის მხრივ ხელს უწყობს კლიმატის ცვლილების პრობლემის შემსუბუქებას. და ჩვენ ვაფინანსებთ პროექტებს, რომლებიც ეხმარება თემებს ცვალებად კლიმატთან ადაპტირებაში.

50,7 მილიარდი ევრო

მწვანე პროექტების დაფინანსებაში 2024 წელს

1 ტრილიონი ევრო

კლიმატურ და გარემოსდაცვით პროექტებში ამ ათწლეულში

მომგებიანი მწვანე გარდაქმნა

Warehouses de Pauw რუმინეთში, ბელგიასა და ნიდერლანდებში მდებარე საწყობების სახურავებზე მზის პანელების დამონტაჟებით მათ ელექტროსადგურებად აქცევს. ეს ნაბიჯი მიმართულია ელექტროენერგიის მზარდი ხარჯების შემცირებისკენ და ასევე გამოიმუშავებს დამატებით შემოსავალს de Pauw-ის მომხმარებლებისთვის ელექტროენერგიის მიწოდებით. ჩვენ მიერ გაცემული 250 მილიონი ევროს ოდენობის სესხი ამ პროექტისთვის დასტურია იმისა, თუ როგორ უწყობს ხელს ცალკეული კლიენტების მხარდაჭერა უფრო ფართო მწვანე გარდაქმნას.

ფოლადის
წარმოების
გაუმჯობესება არა
მხოლოდ გარემოსთვისაა
სასარგებლო, არამედ
Voestalpine-ისთვისაც
გლობალურ კონკურენციაში
წარმატების მიღწევის
ეფექტური გზა არის.

2

ინოვაცია

ინოვაციური ტექნოლოგიები სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ევროპის მომავალი პროდუქტიულობისთვის, ისევე როგორც გლობალურ დათბობასთან ბრძოლისთვის. ჩვენი ინვესტიციები ხელს უწყობს ევროპის სიძლიერეს ჩიპების, სიცოცხლის მეცნიერებებისა და ნულოვანი გამონაბოლქვის ინოვაციებში, რომლებიც ამცირებს ემისიებს. ჩვენ ასევე ინვესტირებას ვახორციელებთ სხვა სექტორებშიც, რომლებსაც უმნიშვნელოვანესი როლი აქვს მომავალი ეკონომიკური ზრდისთვის, მათ შორის ხელოვნურ ინტელექტში, კვანტურ გამოთვლებსა და მოწინავე მრეწველობაში.

854 000

5G მობილური ინტერნეტით უზრუნველყოფა 2024 წელს

ეკოლოგიურად სუფთა გადაწყვეტა ფოლადის წარმოებისთვის

რკინის მადნის ფოლადად გარდაქმნის ტრადიციული მეთოდი ქარბ რესურსს მოითხოვს და დამაბინძურებელია. ავსტრიული ფოლადის მწარმოებელი კომპანია Voestalpine ევროპის საინვესტიციო ბანკისგან მიღებული 300 მილიონი ევროს ოდენობის სესხით აუმჯობესებს ფოლადის წარმოებას, რათა იგი გახადოს უფრო უნივერსალური და გამძლე. იგი ასევე ცვლის წარმოების პროცესებს, რათა გამოიყენოს ნაკლები ენერგია, მოიხმაროს უფრო ცოტა ნედლეული და შეამციროს დაბინძურება.

დანიის პორტი ესბიერგი გარდაიქმნება, რათა მოემსახუროს თავდაცვისა და მწვანე ენერგეტიკის სექტორებს.

უსაფრთხოება და თავდაცვა

ჩვენ ხელს ვუწყობთ ევროპის მშვიდობას მისი უსაფრთხოებისა და თავდაცვის შესაძლებლობების მხარდაჭერით. ჩვენ ხელს ვუწყობთ ევროპულ ბიზნესებსა და ინოვატორებს, რათა მოიპოვონ დაფინანსება პროექტებისთვის, რომლებიც ჩვენი მოქალაქეების უსაფრთხოებას ემსახურება. დაზვერვიდან და მეთვალყურეობიდან დაწყებული, კიბერუსაფრთხოების გადაწყვეტილებებით, ინფრასტრუქტურითა და სამხედრო მობილურობით დამთავრებული, ჩვენი დაფინანსების გადაწყვეტილებები მიზნად ისახავს იმ იდეების ხელშეწყობას, რომლებიც ევროპას უსაფრთხოს, მდგრადსა და ინოვაციურს ხდის.

ჩვენი მიზანი: ინვესტირება

6 მილიარდი ევროს

ოდენობით უსაფრთხოებისა და თავდაცვის სფეროში

დანიური პორტის გარდაქმნა

მიმდინარეობს ესბიერგის, დანიაში მდებარე 156 წლიანი პორტის, გარდაქმნა სამხედრო გემების მიღებისა და ოფშორული ქარის ენერგიის მომსახურებისთვის. პორტი ინვესტიციას ახორციელებს ახალ ტერმინალში ევროპის საინვესტიციო ბანკის 115 მილიონი ევროს ოდენობის სესხის დახმარებით.

კუნძულ ისკიაზე მდებარე თემს კაზამიჩოლა-ტერმეს მეწყერის შედეგად მნიშვნელოვანი ზიანი მიადგა. ჩვენ დავეხმარეთ არა მხოლოდ აღდგენაში, არამედ იმაშიც, რომ კუნძული მომავალში უფრო მდგრადი ყოფილიყო სტიქიური უბედურებების მიმართ.

დარაზმვა

ჩვენ ინვესტიციას ვახორციელებთ დარაზმვაში – სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, პროექტებში, რომლებიც ხელს უწყობს მდგრად განვითარებას და აძლიერებს ეკონომიკურ და სოციალურ ინტეგრაციას ევროკავშირის რეგიონებში. ეს ინვესტიციები ამცირებს რეგიონალურ უთანასწორობას, აძლიერებს ყურადღების მიღმა დარჩენილ თემებს და ეხმარება მათ წარმატების მიღწევაში.

38
მილიარდი ევრო

დარაზმვის დაფინანსება 2024 წელს

აღდგენილი და მდგრადი

2022 წლის ნოემბერში, იტალიაში, ნეაპოლის ყურეში მდებარე კუნძულ ისკიაზე ძლიერმა წვიმებმა მეწყერი გამოიწვია, რამაც 23 ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა და სახლები და მანქანები წალეკა. ევროპის საინვესტიციო ბანკი კუნძულს სტიქიის შემდგომი აღდგენისთვის 1 მილიარდი ევროს ოდენობის ფინანსური პაკეტით უზრუნველყოფს.

კვიპროსის ტექნოლოგიურ უნივერსიტეტში 700 -ზე მეტი სტუდენტური ოთახის შექმნისა და აკადემიური ინფრასტრუქტურის გაფართოების პროექტი ხაზს უსვამს ჩვენს ვალდებულებას განათლებისა და ჩართულობის მიმართ.

სოციალური ინფრასტრუქტურა

მაღალი ხარისხის საცხოვრისი, განათლება და ჯანდაცვის სერვისები სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ევროპის მომავლისთვის. ჩვენი დაფინანსება აუმჯობესებს ქალაქებს, ზრდის ხელმისაწვდომ საცხოვრისს და აძლიერებს სოციალურ სერვისებს. ჩვენ ხელს ვუწყობთ ევროპაში ყოველწლიურად 100 000-ზე მეტი საცხოვრებელი სახლის აშენებასა და განახლებას, ასევე კონტინენტის მასშტაბით ვაუმჯობესებთ სკოლებისა და უნივერსიტეტების საკლასო ოთახებსა და სხვა ინფრასტრუქტურულ ობიექტებს.

67,5 მილიონი

ადამიანი გაუმჯობესებული მუნიციპალური და რეგიონული ინფრასტრუქტურით 2024 წელს

სასწავლო ოთახები

კვიპროსის ტექნოლოგიური უნივერსიტეტის ასობით სტუდენტი ყოველწლიურად დიდ ძალისხმევას ხარჯავს ღირსეული საცხოვრებლის ხანგრძლივ ძებნაში გონივრულ ფასად. ჩვენმა 125 მილიონი ევროს ოდენობის სესხმა ხელი შეუწყო ხელმისაწვდომი საცხოვრებელი ვარიანტების მშენებლობასა და საკლასო ოთახებისა და სხვა საუნივერსიტეტო ობიექტების განახლებას.

უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში, Matr Foods-ის ტიპის ხორცის შემცვლელმა პროდუქტებმა მნიშვნელოვანი ევოლუცია განიცადა. აღნიშნული პროექტი ჩვენი საქმიანობის ნაწილია, რომელიც მიზნად ისახავს სურსათის ღირებულების ჯაჭვში მდგრადობის გაუმჯობესებას.

სოფლის მეურნეობა

სოფლის მეურნეობა სასიცოცხლო როლს ასრულებს სურსათის უვნებლობისა და კლიმატის ცვლილების მიმართ მდგრადობის უზრუნველყოფაში. ჩვენ ვაფინანსებთ პროექტებს მეთევზეობის, სატყეო მეურნეობის, სურსათის ხარისხის, სოფლის განვითარებისა და კლიმატზე მორგებული წარმოების სფეროებში. ჩვენი სესხები და საკონსულტაციო მომსახურება ფერმერებისთვის უკეთეს საარსებო წყაროს უზრუნველყოფს, იცავს გარემოს და ამცირებს სოფლის მეურნეობის ნახშირბადის კვალს.

3 მილიარდი ევრო

საინვესტიციო პაკეტი ახალგაზრდა ფერმერებსა და გენდერულ თანასწორობაზეა ორიენტირებული.

5 მილიარდი ევრო

ყოველწლიურად სოფლის მეურნეობისა და ბიოეკონომიკისთვის

ინოვაციური არომატები

დანიურმა კომპანია Matr Foods-მა შექმნა ხორცის შემცვლელი პროდუქტი, რომელსაც ხორცის იდენტური გემო და ტექსტურა აქვს, ამავდროულად ზიანს არ აყენებს გარემოსა და მომხმარებელთა ჯანმრთელობას. იგი მზადდება ადგილობრივი, მცენარეული ინგრედიენტებისგან, რომლებიც სოკოვანი ფერმენტაციის პროცესის შედეგად კატლეტებად გარდაიქმნება. ჩვენ ამ პროექტს 20 მილიონი ევროს ოდენობის სესხით ვუჭერთ მხარს.

ჩვენი მხარდაჭერა კომპანია Rim Foam-ისა და მავრიტანიის სხვა კომპანიების მიმართ ზრდის დასაქმებას, ეხმარება ქალებს და ხელს უწყობს მეწარმეობას.

გლობალური ინვესტიცია

ევროკავშირის ფარგლებს გარეთ, ჩვენ პრიორიტეტს ვანიჭებთ უკრაინის მხარდაჭერას და ხელს ვუწყობთ მდგრად განვითარებას ისეთ რეგიონებში, როგორიცაა ხმელთაშუა ზღვისპირეთი და სუბსაჰარული აფრიკა. ჩვენ ხელს ვუწყობთ კლიმატის ცვლილების წინააღმდეგ ბრძოლასა და გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევას მთელ მსოფლიოში. ჩვენ მსოფლიოს წყლის სექტორის ერთ-ერთი უმსხვილესი მსესხებელი ვართ.

გაუმჯობესებული ჯანდაცვა და უფრო მეტი ვაქცინა

100 მილიონზე მეტი ადამიანისთვის

გლობალური გენდერული თანასწორობა

როდესაც შეიხ მოჰამედ ელკარაჩიმ მავრიტანიაში მამის ქაფის ბიზნესი გადაიბარა, მას ქალების დაქირავება სურდა, თუმცა ქარხანას ქალების საპირფარეშოებიც კი არ ჰქონდა. „ცალკე საპირფარეშოები გავაკეთე“, - ამბობს იგი, - „რათა ქალებს აქ მუშაობისას თავი უფრო კომფორტულად ეგრძნოთ“. მან მალევე დაიწყო ქალების აყვანა საკვანძო პოზიციებზე. ჩვენ მის ცვლილებებს ადგილობრივი ბანკის მეშვეობით დავუჭირეთ მხარი.

კაპიტალის ბაზრების კავშირს შეუძლია დაეხმაროს კომპანიებს მიიღონ საჭირო დაფინანსება ზრდისა და მწვანე გარდაქმნის ინვესტირებისთვის.

კაპიტალის ბაზრების კავშირი

კაპიტალის ბაზრების კავშირი არის გეგმა, რომელიც მიზნად ისახავს ინვესტიციებისა და დანაზოგების თავისუფალ გადაადგილებას ევროკავშირის მასშტაბით. ეს სარგებელს მოუტანს თითოეულ ადამიანს, ინვესტორებსა და კომპანიებს, მიუხედავად მათი საცხოვრებელი ადგილისა. კაპიტალის ერთიან ბაზარს შეუძლია უკეთესი პირობების შექმნა ახალი ტექნოლოგიების, ენერგოეფექტურობისა და ინფრასტრუქტურის პროექტებისთვის ევროკავშირის იმ რეგიონებში, სადაც დაფინანსება ამჟამად რთულად ხელმისაწვდომია.

ჩვენ ვქმნით ფინანსურ ინსტრუმენტებს, რომლებიც რეალური კაპიტალის ბაზრების დაკავშირების საფუძვლად შეიძლება იქცეს. ჩვენი ციფრული ობლიგაციების ტრანზაქციები, მაგალითად, ხელს უწყობს ციფრულ ინტეგრაციას ევროპის ფინანსურ სისტემაში და აუმჯობესებს წვდომას მცირე კომპანიებისთვის, რომლებიც ძირითადად საბანკო სესხებზე არიან დამოკიდებულნი.

110 მილიარდ ევროზე მეტი

კლიმატისა და მდგრადობის ცნობიერების ობლიგაციებში

ევროპის საინვესტიციო ბანკის პრიორიტეტების შესახებ
დამატებითი ინფორმაცია იხილეთ აქ

მოკლე მიმოხილვა

2025

ევროპის
საინვესტიციო ბანკი | ჯგუფი

pdf: ISBN 978-92-861-5927-5

© ევროპის საინვესტიციო ბანკი, 01/2025 KA 2024-0348